

აქტუალიზაციის ზოგი შემთხვევა ზეპირ მეტყველებაში

ავტორი ბურჭულაძე თეა

თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი, პ. ინგოროყვას 8

ელფოსტა: burchuladzetea@gmail.com

ანოტაცია

ზეპირ მეტყველებაში აქტუალიზაციის ერთ-ერთი საშუალებაა სპეციალური ლექსიკური ერთეულები, ანუ ლექსიკური აქტუალიზატორები. ამ თვალსაზრისით საინტერესო სურათს იძლევა შემდეგი სიტყვები, სიტყვათშეხამებანი თუ გამოთქმები: **ერთიც ვნახოთ (ერთიც ვნახოთ და), გავიხედე და, კარგი ერთი, ერთი ეს, შენც ახლა, არა ბიჭო, კაი კაცო**. ხშირ შემთხვევაში ისინი პირდაპირი მნიშვნელობით არ მოიაზრება და ნაწილაკური დანიშნულებისანი არიან. ეს გამოთქმები გამოიყენება არამართო რეპლიკა-რეაქციაში, არამედ მოსაუბრის გაბმულ საუბარშიც განსაკუთრებით ხაზგასასმელი მოქმედების გამოსაყოფად. მოყვანილი ფორმები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ზეპირი მეტყველება ექსპრესიულ-ემოციური ხასიათისაა და სხვადასხვა მოდალობის შინაარსის გამოსახატავად მრავალფეროვანი სპეციფიკური სინტაქსური კონსტრუქციები იჩენს თავს. ინტონაციის ამგვარი ენობრივი აქტუალიზებით მჟღავნდება მოსაუბრის ემოციური გამოხატულება თქმულისადმი.

საკვანძო სიტყვები: ზეპირი სინტაქსი; სიტყვათშეხამება; აქტუალიზაცია

ზეპირი მეტყველება მრავალმხრივ საინტერესო სურათს გვიჩვენებს როგორც თავისებური ინტონაციითა და სიტყვათგანლაგებით, ასევე წინადადებათა სპეციფიკური სინტაქსური აგებულებით. ნიშანდობლივია ასევე ზეფრაზული ერთეულები, მათი სტრუქტურა და შინაარსი (კითხვა-მიგება, ზერთული წინადადებები).

გაბმული მეტყველება მეტად მრავალფეროვანია და, რაც მთავარია, ის თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ენის ამოუწურავ შესაძლებლობებს. ზოგჯერ ზეპირი მეტყველებისათვის დამახასიათებელ სიტყვათა თუ შესიტყვებათა ფორმები სასაუბროშივე რჩება, მხოლოდ

მისთვისაა ნიშანდობლივი, ხან კი გზას იკაფავს სალიტერატურო ენაში. გარდა ამისა, ზეპირი მეტყველებიდან ისინი გადადიან მწერლობაში, მხატვრული თხზულებების ენაში.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ზეპირი მეტყველება არის სალიტერატურო ენის მომხმარებელთა წინასწარ მოუმზადებელი, არაოფიციალური საუბარი, რომელიც ძალდაუტანებლად მიმდინარეობს. ლ. კვანტალიანი სამართლიანად მიიჩნევს, რომ ზეპირი მეტყველება სალიტერატურო ენის ფუნქციური სტილი კი არ არის, როგორც ამას აქამდე მიიჩნევდნენ, არამედ ცალკე სისტემაა, რომელსაც კვლევის სხვა კრიტერიუმები აქვს (კვანტალიანი 1990 : 4).

ცხადია, ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხების დეტალური კვლევა აუცილებელია ენობრივი თავისებურებების უკეთ გამოსავლენად. განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას სხვადასხვა სახის წინადადებებში შემავალი კომპონენტების სპეციფიკური შინაარსობრივ-სტილისტიკური შეფერილობა და დანიშნულება.

გაბმული მეტყველების ერთ-ერთ სპეციფიკურ გამოვლენად მიჩნეულია წინადადების აქტუალიზაცია. ზოგადად აქტუალიზების ცნება ენათმეცნიერებაში დაამკვიდრა პრალის საენათმეცნიერო წრემ. დეტალური კვლევა ამ თვალსაზრისით ეკუთვნის ჩეხ მეცნიერს, ვ. მათეზიუსს (Mathesius 1939). აქტუალური დაყოფა უპირისპირდება წინადადების სტრუქტურულ ანალიზს. მკვლევრის აზრით, წინადადების აქტუალური დანაწევრება უნდა დაუპირისპირდეს მის ფორმალურ დაყოფას, რადგან არკვევს იმ საშუალებებს, რომლებითაც წინადადება უნდა ჩაერთოს იმ საგნობრივ კონტექსტში, რომლის ბაზაზეც ის წარმოიშვა.

სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილავენ ემფაზას შემთხვევებს, რომელსაც განმარტავენ როგორც „წინადადების სინტაქსური სტრუქტურის შეგუებას მოცემული გამონათქვამის კონკრეტულ საკომუნიკაციო მიზანთან“ (აფრიდონიძე 1986 : 92). მისით ვლინდება გამონათქვამის ავტორის სურვილი – ხაზი გაუსვას და წინ წამოსწიოს მისთვის მნიშვნელოვანი სიტყვა თუ სიტყვათა ჯგუფი. სწორედ ამის საშუალებით წინ გადმონაცვლებული სიტყვა (სიტყვები) ექცევა წინადადების ძლიერ ინტონაციურ ნაწილში და ერთგვარ მახვილს იძენს.

აქტუალური დანაწევრების თვალსაზრისით განსაკუთრებით მდიდარ მასალას იძლევა ჩვეულებრივი, ყოველდღიური მეტყველება, რომელშიც სამეტყველო სიტუაცია უფრო მდიდარია. მას ახასიათებს სიტუაციურობა. სიტუაციას ეკუთვნის ყველაფერი ის, რაც, როგორც ცნობილია, შეიძლება გამოიყენებოდეს მეტყველების პროცესში. აქტუალიზაციის აუცილებლობის შემთხვევაში გამოყენებული იქნება შინაგანი მაჩვენებლები, რაც ვლინდება ემოციური შეფერილობით. ის ასევე შესაძლებელია განხორციელდეს გარეგნული საშუალებებითაც (ენუქიძე 1987 : 7). ა. დავითიანის მართებული თვალსაზრისით, მეტყველების პროცესში ადამიანი მხოლოდ აქტუალიზაციაზე ზრუნავს, ხოლო გრამატიკული მოდელი თავისთავად ავტომატურად ფორმდება. წინადადების წარმოქმნა-წარმოშობის დროს

სიტყვათა წყება, ანუ წინადადების საწყისი, სტრუქტურულად ფორმდება და შემდეგ გარდაიქცევა წინადადებად აქტუალიზების გზით (დავითიანი 1973 : 143).

აქტუალიზაცია, ანუ ენის მეტყველებაში გადაყვანა ხორციელდება სხვადასხვა საშუალებით, როგორებიცაა: ინტონაცია, სიტყვათგანლაგება (პოზიცია), სპეციალური ლექსიკური ერთეულები, ანუ ლექსიკური აქტუალიზატორები. სამეცნიერო ლიტერატურაში ამგვარ რამდენიმე კერძო შემთხვევას განიხილავენ (კვანტალიანი 1990 : 98). თუმცა ამ თვალსაზრისით საკვლევი, ცხადია, კიდევ ბევრია.

გარდა აღნიშნულისა, ზეპირ მეტყველებაში ლექსიკურ აქტუალიზატორად ხშირად გამოიყენება **ერთიც ვნახოთ** სიტყვათმეხამება. მოსაუბრის მხრიდან წინადადებაში სწორედ ეს ფორმაა გამოკვეთილი. მას არ აქვს სინტაქსური კავშირი რომელიმე წევრთან, მიემართება არა კონკრეტულად რომელიმე წევრს, არამედ მთლიან წინადადებას და გახაზავს მის მნიშვნელობას. მისი ადგილის შეცვლა შეუძლებელია და ყოველთვის წინადადების თავში დასტურდება ხოლმე. შინაარსობრივად ის მთქმელის ერთგვარ დამოკიდებულებას წარმოაჩენს წინადადებაში გამოხატული მოქმედების მიმართ. ზოგჯერ მას ისეთივე დანიშნულება აქვს, როგორც **გავიხედე და** ფორმას. ორივეში (**ერთიც ვნახოთ, გავიხედე და**) სიტყვები მაინცდამაინც **დანახვის, ნახვის** მნიშვნელობით კი არ მოიაზრება, არამედ მისით სპეციფიკური შინაარსობრივ-სტილისტიკური ელფერი გამოიხატება. ვფიქრობთ, აქ **მართლა(ც)/მართლა(ც) რომ, ვაითუ** შინაარსი იგულისხმება:

„**ერთიც ვნახოთ**, შულავრიდან მაიორი მოვიდეს. ახლა იმასთან რაღა საქმე მაქვს?“
 „**ერთიც ვნახოთ**, ომში წასვლა მოგიხდა, დროშების ფრიალით ბრძოლა! აჰ, იპოლიტი!“;
 „**ერთიც ვნახოთ**, უცებ თავი ციხეში გიკრან, მაშინ?“;
 „**ერთიც ვნახოთ**, ლონდონს ჩამოსვლის შემდეგ იძულებული გავხდე ვაღიარო თქვენს წინაშე, რომ ჩემმა უყურადღებობამ უბედურებამდე მიგვიყვანა?“;
 „**ერთიც ვნახოთ**, შეგროვდნენ, მოიფიქრონ და შეიგნონ, რომ ყველა ეს იმათ ერთმა კაცმა დამართა, – სირცხვილნაჭამნი და გაბრაზებულნი მოგვადგნენ და სულ კუდით ქვა გვასროლინონ;
 „**ერთიც ვნახოთ**, გადმოაყირავა თავისი მანუჩი და რამე იტკინა, ანდა, საწოვარა გადაყლაპა ვაჩემ“. შდრ.: **მართლა/ვაითუ** რომ უცებ მიკრან თავი ციხეში?; ლონდონს ჩამოსვლის შემდეგ **მართლა/ვაითუ** იძულებული რომ გავხდე ვაღიარო თქვენს წინაშე, რომ ჩემმა უყურადღებობამ უბედურებამდე მიგვიყვანა?; **მართლა/ვაითუ** შეგროვდნენ, მოიფიქრონ და შეიგნონ...“

ხშირად **ერთიც ვნახოთ** სიტყვათმეხამება დასტურდება და ნაწილაკითაც: „**ერთიც ვნახოთ და** რომელიმე ფაშა ჩავიგდოთ ტყვედ; **ერთიც ვნახოთ და** სხვა ვინმე ჩამოვიდეს!“;
 „**ერთიც ვნახოთ და** გამოყარეს სუყველა, მერე.!“; „**ერთიც ვნახოთ და** ამ დამუწეხებულმა ხალხმა მოგთხოვოს – სად არის დანაპირები სინგაპურიო, სად მიდიხარ?“

შდრ.: „თანაც, ახირებული იყო ეს შალვა ვიდაც, **გავიხედე და** ჩამინებულს, მოზრდილი ლოდი დამიშვას თავში?!“; „**გავიხედე და** მართლა ყანა-სამკალში გამაგზავნოს?“; „**გავიხედე და**

დანაპირები არ შემისრულოს?“ ორივე შემთხვევას (**ერთიც ვნახოთ, გავიხედე და**) ახასიათებს მოქმედების მხოლოდ მომავალ დროში გამოყენება, წარსულსა და ახლანდელ პერიოდში დასახელებული კონტექსტით ენა მას არ აწარმოებს (ტრადიციული გაგებით, მაგალითად, **გავიხედე და გამოჩნდა...** კი, ბუნებრივია, წარსული დროა). გარდა ამისა, საინტერესოა აქ **და** კავშირის გამოყენება. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ცოცხალ მეტყველებაში ზოგჯერ **და** ელემენტი უძველესი ფუნქციით დასტურდება – იგი ნაწილაკის შთაბეჭდილებას ახდენს, რის უტყუარ დასაბუთებად მისი რიტმო-მელოდიკა სახელდება: თუ მომკლავს და მომკლავს; ამ გზას დაადგები და ინანებ... (მიდიგური 1973 :450). **და** სტრუქტურული აქტუალიზების ერთ-ერთ ექსპრესიულ საშუალებადაა მიჩნეული მტკიცების, გამორიცხვის, მოწონების, კმაყოფილების, საყვედურისა თუ გაკვირვების გამოხატვისას (ასეა დიალექტებშიც): შენი შვილი რას აკეთებსო? – რასა **და** მუშაობსო; უკვდავების მწვანის თუ მამიტან, მოვრჩებიო, თუ არა **და** მოვკვდებიო; მაინც რა დაარქვი პატარძალსაო? **და**: – შუალოო (ჭიკაძე 2017 : 125-12). ჩვენ მიერ დასახელებულ სიტყვათშეხამებებში **გავიხედე და, ერთიც ვნახოთ და „და“** სწორედ ამგვარი დანიშნულებისა ჩანს.

აქტიური გამოყენებისაა სასაუბრო მეტყველებაში სხვა ისეთი გამოთქმებიც, რომელთა შემადგენელი ნაწილი კვლავ **ერთი** სიტყვაა:

„ერთი შენც, სისულელეს მიყვები...“; **„ერთი შენც**, მოგცლია რა“; **„ერთი შენც** კიდევ, თითქოს შენს გარდა, სხვა აღარაფერი მაწუხებდეს“; **„ერთი შენც**, – უპასუხა დანგლარმა, – ყოველი ანაზღაურად წამოსროლილი სიტყვისათვის კაცს რომ მოუხდეს პასუხისგება, სად წავიდოდა“; **„ერთი შენც** კიდევ! – გაჯავრებით თქვა მოხუცებულმა კაცმა: – რასაც მიზამს, ქნას და ის იქნება!“

ასევე: **„ე, კარგი ერთი**, მოგინახავს სწორედ ძილის დრო!“; **„კარგი ერთი**, თუ ღმერთი გწამს, მოეშვი მაგ ტრაზახს“; **„კარგი ერთი**, თუ კაცი ხარ, ჩვენ ცოტა უცნაურად კი გამოვიყურებით, ცოტა უცნაური სახელებიც გვქვია, მაგრამ დეგენერატები ნამდვილად არ ვართ“; **„კარგი ერთი**, ბებო, რაღა დროს ჩემი კოცნაა, ისღა მაკლია, კალთაშიაც ჩაგიჯდე და ნანინა გამღერო! – ვეტყოდი და ჰერი, ერთი ფეხი ალთასა მქონდა და მეორე – ბალთას“; **„კარგი ერთი**, ყველაფერი კი ნუ მიგაქვს გულთან ახლოს“; **„კარგი ერთი**, მაინც უხერხულად მეჩვენება, ძმაო, კარტოფილი და პამიდორი თურქეთიდან შემოზიდო და თოვლი საქართველოდან გაზიდო“.

ან კიდევ: **„ერთი ეს** მითხარ: ხელში ნაპატივები მიმინო უფრო კარგია, თუ ის მიმინო, რომელსაც გაჩენის დღიდან კაცის ხელი არ მოჰხვედრია?“; **„ერთი ეს** მითხარით, რომელი ვარსკვლავთმრიცხველი ან ბედისმწერელი მე ვარ, რომ ამ სიმაღლეზე ამოვსულვარ და თავი ცაში გამიყრია?“; **„ერთი ეს** გამაგებინეთ, თქვენი ბრძანებით რომ თქვენ სატრფოს მუხლს უდრეკენ და ყურმოჭრილ მონობას უცხადებენ, როგორ მოახერხებენ თქვენი საიდუმლო დაიცვან?“; **„ერთი ეს** იზრდება კიდევ, ერთ სიტყვას არავინ შეგარჩენს ... – საბოლოოდ ჩაიქნია

ხელი „ცივი წყლით გვარიანად გაწუწულმა“ გაიოზმა და თავის ოთახში შეიკეტა“; „ერთი ეს ვალდებულება დროულად შემასრულებინა“.

გაბმულ მეტყველებაში **კარგი ერთი, ერთი ეს**, როგორც წინა შემთხვევებში, ყოველთვის იწყებს წინადადებას. მას ექსპრესიული შინაარსი ახლავს და მთქმელის ერთგვარ ემოციურ დამოკიდებულებას გამოხატავს. ცნობილია, რომ **ერთი** ყოველთვის არ აღნიშნავს რიცხვით მნიშვნელობას. ის ზოგჯერ განზოგადებით დგას განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა რიგში (იყო ერთი კაცი... გამოჩნდა ერთი კაცი...). ის გახაზავს არა კაცის რაოდენობას, არამედ იმას, რომ **ვიღაც** იყო, გამოჩნდა (ახ. ქართული ენა 2016 : 250). ხან კი ის ნაწილაკად იხმარება: ერთი ეს მითხარი (შანიძე 1980 : 613). დასახელებულ წინადადებებშიც მათ ნაწილაკური დატვირთვა აქვთ და მოსაუბრე მას ემოციის ხაზგასასმელად იყენებს.

ჩვენ მიერ მოხმობილ წინადადებებშიც მას არც რიცხვითი სახელისა და არც განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის ფუნქცია არ აქვს. ის მხოლოდ მოლაპარაკის დამოკიდებულების გამოხატველია, არ აქვს რაიმე სინტაქსური დანიშნულება და წინადადების წევრიც არაა, არც სხვა სიტყვებთან არ აქვს არანაირი სინტაქსური კავშირი. ამ შემთხვევებში მას გამოთქმაში ნაწილაკის დატვირთვა უფრო აქვს თანხმლებ სიტყვასთან ერთად. გარდა ამისა, თვითონ სიტყვაც **კარგი** აქ ნაწილაკის ფუნქციითაა. ამდაგვარი შემთხვევა (**არის** ზმნის ნაწილაკური ფუნქციის შესახებ) აღნუსხულია სამეცნიერო ლიტერატურაში **ცოტაც არის, მაინც არის, ერთხელაც არის...** ფორმების ანალიზისას (კვანტალიანი 1990 : 99-100):

ზეპირ მეტყველებაში ასევე აქტუალიზებულია ემოციის გამოხატველი ერთგვარი გამოთქმები: **შე კაი კაცო! კაი კაცო!** ისინი ისეთი მიმართვისას გამოიყენება, როცა მთქმელს გაკვირვების, ირონიის, მოწონების, კმაყოფილებისა თუ საყვედურის გამოხატვა სურს: „**შე კაი კაცო**, თუ მაგისთანა ძვირფასი მარგალიტები მოგეპოებოდა, აქამდინ რას ინახავდი ძუნწივით, ზანდუკში ჩაკეტილებს“; „**შე კაი კაცო**, სწორედ სახელმწიფოებრივ მიდგომაზე ვსაუბრობთ და შავ დღეს მაყრი?“; „**შე კაი კაცო**, რას ჰქვია, გაანადგურებ!“; „**კაი კაცო**, რას მეუბნები?“; **კაი კაცო** დამოუკიდებლადც გამოიყენება დიალოგისას მთქმელის ირონიისა თუ გაკვირვების გამოსახატავად. შეიძლება ითქვას, რომ ინტონაციითა და ფუნქციითაც ის შორისდებულის როლს ასრულებს ამგვარ შემთხვევებში:

- ამას შენთვის ვაკეთებ ყველაფერს, საჩემოდ კი არა.
- **კაი კაცო!**
- როცა ეს დასრულდება, მაშინ გაჩვენებ ყველაფერს, ახლა ვერა.
- **კაი კაცო!**

ერთგვარი შინაარსობრივ-სტილისტიკური დატვირთვა აქვს ასევე **შენც ახლა** სიტყვათშეხამებას. ამგვარ ფორმებში ის (შენც) ძირითადად ქვემდებარეა და დასტურდება

უმეტესად **ც**- ნაწილაკდართული ფორმით, მხელებელი **ახლა** კი კონტექსტის მიხედვით მაინცდამაინც დროს არ აღნიშნავს, პირობითი გამამლიერებელია. ისიც წინადადებას თავში მოუდის ხოლმე:

„**შენც ახლა** მე უნდა დამარიგო შენს ჭკვაში, დედაკაცობაში წილი უნდა ჩაიდვა და ის კი დაგვიწყებია: „ზოგსა კაცსა კაცი ჰქვიან, ზოგსა კაცსა კაცუნაო, ზოგს დედაკაცს – დედაკაცი, ზოგსა – დედაკაცუნაო?“ – მიუგო ქმარმა და თანაც თავზე ჩაჩი გვერდზე მოიგდო“; „ამიტომ, როცა ჯანოსთან მივედი და ვუთხარი ანსამბლიდან წასვლის შესახებ, ცოტა განაწყენდა და მითხრა, **შენც ახლა** ნადეჟდა ხარაძეს არ აჯობო“; „**შენც ახლა** კანარის კუნძულებზე მაგზავნი! თან დრო გაატარეო, მეუბნები! – გაა იბუზღუნებდა, იბუზღუნებდა, მერე ხელს ჩაიქნევდა და სამზარეულოსკენ წავიდოდა“; „ერთი **შენც ახლა**, დედაკაცო, ქათამი კი არა, კვერცხი არ გინდა! რაც გვაქვს, ის არის, – ამბობდა ტაგუია“.

არცთუ იშვიათად ანალოგიური ვითარება გვაქვს **მეც ახლა, მაგანაც (ეგეც ახლა) ახლა** (ანუ მსგავსია შინაარსია პირველ და მესამე პირებთან მიმართებისასაც) სიტყვათშეხამებებთანაც: „**მეც ახლა** სულ მაგის ძებნაში არ ვიყო რა“; **მაგანაც ახლა** უცბად არ შეძლოს ყველაფერი“. სულ სხვა კონტექსტისაა მსგავსი სიტყვათშეხამებები ტრადიციული შინაარსით, რომლებშიც ახლა დროის გარემოების ფუნქციისაა: „**მეც ახლა** ამაზე ვიწყებ ნერვიულობას, მაგრამ არ ვიცი რა ფორმით და საშუალებით უნდა ვებრძოლო?“; „**მეც ახლა** გადავწყვიტე ფოტოგრაფირების სწავლა და გამოცდილი ხალხის რჩევა ამ დროს ძალიან გეხმარება“; „**მაგანაც ახლა** მოინდომა გამოფხიზლება“; **ეგეც ახლა** გამოჩნდა ასპარეზზე“. შეპირისპირება ნათლად ცხადყოფს მათი ემოციური დატვირთვის ფუნქციას, რის გამოც ნაწილაკური მნიშვნელობა შეიძინეს.

თავისებური სტილური ელფერი აქვს გაბმულ მეტყველებაში გამოყენებულ მიმართვის ფორმას **არა ბიჭო**. მოსაუბრის მხრიდან გამოხატულია ერთგვარი მოქმედების უეჭველობა თუ გამოწვევა. აღსანიშნავია, რომ ის დამოუკიდებლადაც გამოიყენება კითხვა-პასუხის დროს: ამას მართლა შეძლებ? – **არა ბიჭო!** ა. შანიძე გრძნობის გამომხატველ შორისდებულებში გაკვირვების, გაცების გამომხატველად ერთ-ერთ შორისდებულად ასახელებს **ბიჭოს!** ფორმას: „ბიჭოს! ბიჭოს! რა ამბავი ყოფილა და ჩვენ არაფერი არ ვიციო“ (შანიძე 1980 : 623). ჩვენ მიერ დასახელებულ წინადადებებში **არა ბიჭო** მთლიანად ნაწილაკია, უფრო დაზუსტებით, მიგებითი ნაწილაკი. როგორც ცნობილია, **არა, ვერა** მიგებითი ნაწილაკები წინადადების მაგივრობას ეწევიან და ამიტომ ზოგჯერ **სიტყვა-წინადადებას** უწოდებენ. ცხადია, ასეთი სიტყვა-წინადადება წინადადების წევრი არ არის, ცალკე აღებული არაფერს ნიშნავს, მოდალობის გამომხატველია და სრული თუ უსრული წინადადების ეკვივალენტია (კვაჭაძე 2010 : 334). ა. კიზირიას აზრით, მიგებითი ნაწილაკები კომუნიკატივთა ერთ სახეობას ქმნის, მათი ერთ-ერთი ფუნქციაა დადასტურება და გამლიერება მთქმელის ნათქვამისა. ზოგჯერ კი მათ ახლავს დამაზუსტებელი წინადადება. დადასტურებითი ნაწილაკების მნიშვნელობით გამოიყენება აგრეთვე: რასაკვირველია, როგორ არა, რა თქმა უნდა, რატომ არა, სწორედ, აბა რა, მაშ. მეტი სიძლიერის გამომსახველია ასევე უარყოფითი ნაწილაკები (კიზირია 1987 : 83-84).

ზუსტად ანალოგიურია ვითარება დასახელებულ წინადადებებში, **არა ბიჭო** ნაწილაკია და უტოლდება სიტყვა-წინადადებას:

„**არა ბიჭო**, სუ ჩემი გახვრეტილი ჯიბე აწუხებდათ“; „**არა ბიჭო** და მგლებს დავეგლეჯინები“; „**არა ბიჭო**, შენსავით მთელ დროს დაღლიარობაში ვატარებ“; „**არა ბიჭო**, შენსავით ივლისები მეცხადება და სულ ნავით დავცურავ ქვეყანაზე, – მელოტი თავი დააქნია ფიდოიამ“.

ზეპირი მეტყველების დროს თავისებურ შინაარსსა და სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს წინადადების ზოგი წევრი თუ შემადგენელი ნაწილი. ყურადღებას გავამახვილებთ შემდეგი აგებულების წინადადებებზე: „მეტყვი: დობილი **არა ის!**“; „ჯერ არ გამოვფხიზლებულვარ, გამოცდა **არა ის**“; „ეს რაღა უბედურებაა – წიგნი **არა ის**“; „შორი **არა ის არისო!**“; „კაი ერთი, თუ ღმერთი გწამს! ატმის რტო **არა ის** არ გინდა?“

მოხმობილი წინადადებები მკვეთრად დამახასიათებელია მხოლოდ სასაუბრო მეტყველებისას. ბუნებრივია, ის გვხვდება მხატვრულ ლიტერატურაშიც. შინაარსობრივი თუ სინტაქსური თვალსაზრისით ბუნდოვანია რა სახელს, ობიექტს ან საგანს აღნიშნავს თუ მიემართება **ის**. ერთი შეხედვით, სინტაქსურად **ის** ქვემდებარის ფუნქციას ასრულებს. ჩვენი აზრით, სიტყვის გაძლიერებით ფუნქციას ასრულებს უფრო, ვიდრე წინადადების წევრისა. ფაქტობრივად, იმავე წევრს აძლიერებს, რომელსაც ახლავს **ის**. მაგალითად: **დობილი – ის; გამოცდა – ის; წიგნი – ის; შორი – ის; რტო – ის**. მოხმობილ შემთხვევებში მთქმელი არ აკონკრეტებს რის ნაცვალა **ის**, ოღონდ აქ უარყოფის გაძლიერება და მტკიცებაა.

ეს გამოთქმები გამოიყენება არამართო რეპლიკა-რეაქციაში, არამედ მოსაუბრის გაბმულ საუბარშიც განსაკუთრებით ხაზგასასმელი მოქმედების გამოსაყოფად.

მოყვანილი ფორმები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ზეპირი მეტყველება ექსპრესიულ-ემოციური ხასიათისაა და სხვადასხვა მოდალობის შინაარსის გამოსახატავად მრავალფეროვანი სპეციფიკური სინტაქსური კონსტრუქციები იჩენს თავს. ინტონაციის ამგვარი ენობრივი აქტუალიზებით მჟღავნდება მოსაუბრის ემოციური გამოხატულება თქმულისადმი. მოხმობილი გამოთქმები, სიტყვები თუ სიტყვათშეხამებანი ზეპირი მეტყველებისას ენობრივი აქტუალიზატორის ერთგვარ საშუალებად გამოიყენება.

გამოყენებული ლიტერატურა:

აფრიდონიძე 1986: შ. აფრიდონიძე, სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986

ახალი ქართული ენა 2016: ახალი ქართული ენა, ზოგადი. სახელი, წიგნი I, თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2016

დავითიანი 1978: ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1978

ენუქიძე 1987: ლ. ენუქიძე, ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987

კვანტალიანი 1990: ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1990

კვაჭაძე 2010 : ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი: გამომცემლობა „ცოტნე“, 2010

კიზირია 1987: ა. კიზირია, მარტივი წინადადების ტიპები წევრთა შემადგენლობის მიხედვით და კომუნიკატივები, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987

მათეზიუსი 1939: ვ. მათეზიუსი, წინადადების ეგრეთ წოდებული აქტუალიზაციის შესახებ, პრალის საენათმეცნიერო წრე [Mathesius 1939: V. Mathesius, О так называемом актуальном членении предложения, Пражский лингвистический кружок, 1939]

შანიძე 1980: ა. შანიძე, თხზულებანი, III, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1980

ჭიკაძე 2017: რ. ჭიკაძე, ინტონაცია როგორც წინადადების კონსტრუქციის ექსპრესიული აქტუალიზების ფაქტორი (კახური დიალექტის მიხედვით): ლინგვისტური სჯანი, თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017

ძიძიგური 1973: შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1973